„გვხსოვდეს ვიცი გორიცხა ხვრი!“

გვარი და ცრადიცია

12 (38)

ДЕКЕМБЕРИ 2016 Б.

საქართველოს საგვარეულოთა კავშირის „გვარი და გვარიშვილობის“
სრულიად საქართველოს გვარის წინამძღოლთა დარბაზის საბჭოს გაზეთი

გილოცავთ შობა-ცხადლის წელთა!

საინფორმაციო ქრონიკა

2016 წლის 5 დეკემბერს გაიმართა სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზის აქტივის შეკრება. ინფორმაცია 2016 წლის გაწეული მუშაობის შესახებ გააკეთა საქართველოს საგვარეულოთა კავშირის „გვარი და გვარიშვილობის" გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ ვაჟა ნადირაშვილმა.

შეკრებას ესწრებოდა ამერიკაში მოღვაწე ტრიო „მაგნოლიას" წევრი ქალბატონი ზაირა ჩოხელი. ქალბატონ ზაირას გადაეცა საქართველოს საგვარეულოთა კავშირის „გვარი და გვარიშვილობის" საპატიო სიგელი მის მიერ გაწეული ქველმოქმედებისათვის. ანალოგიური სიგელები გაეგზავნათ ტრიო „მაგნოლიას" სხვა წევრებსაც – ქალბატონ მზია ბეკურაშვილს და მანანა ჩიტაურს. ამ ქალბატონების ამერიკის შეერთებულ შტატებში მოღვაწეობის შესახებ ინფორმაცია გააკეთა ჟურნალისტმა ნუნუ გრძელიშვილმა.

ზემოთ აღნიშნული ქალბატონები ასევე დაჯილდოვდნენ „ქართული ერთობის დარბაზის" პატივდების სიგელებით. სიგელები გადასცა დარბაზის წევრმა ბატონმა ომარ მხეიძემ. ბატონმა ომარმა ისაუბრა აგრეთვე იმ მნიშვნელობაზე, რასაც უცხოეთში მოღვაწე ქართველები ეწევიან ქართული ხელოვნების პროპაგანდისათვის.

სამადლობლო სიტყვით გამოვიდა ზაირა ჩოხელი. შემდეგ სიტყვებით გამოვიდნენ: – მარად კიტოვანი – ინფორმაციით ჩატარებული კონფერენციის შესახებ თემაზე: „გამოწვევები ასოციერების ხელშეკრულების ინპლემენტაციისა და ევრო ინტეგრაციის გზაზე!

ნანა ფიფია – ფიფიების გვარის წინამძღოლი გაწეული მუშაობის შესახებ;

დავით ჩადუნელი – გვარების სიმღერის ფესტივალის ჩატარების შესახებ.

ალექსანდრე ყიფიანი – დიმიტრი ყიფიანის იუბილის შესახებ.

მერაბ შათირიშვილი – გვარების გაერთიანებისა და საქმიანობის გააძლიერების შესახებ.

ავთანდილ არბოლიშვილი სოფლებში მდგომარეობის შესახებ.

ნუგზარ შაინიძე – აჭარის მამულიშვილთა კავშირიდან მემორიალის დადგმისათვის ხელმოწერების შეგროვების შესახებ.

შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა საგვარეულოთა კავშირის „გვარი და გვარიშვილობის" გამგეობის თავჯდომარე ლევან ფრუიძე.

2016 წლის 14 დეკემბერს გაიმართა საქართველოს საგვარეულოთა კავშირის „გვარი და გვარიშვილობის" გამგეობის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ლ. ფრუიძე, ვ. ნადირაშვილი, ნ. სულმანიძე, ხ. სხირტლაძე, მ. ლეკვეიშვილი, მ. კიტოვანი, აგრეთვე მოწვეულები ზურაბ ჭუმბურიძე, მამია ჭუმბურიძე, ბეჟან ხორავა, ანზორ სიჭინავა, ლევან რატიანი.

სხდომამ იმსჯელა სამეცნიერო საბჭოს ახალი შემადგენლობის დამტკიცებისა და მისი ამოცანების შესახებ.

დამტკიცდა სამეცნიერო საბჭოს ახალი შემადგენლობა შემდეგი შემადგენლობით: ლევან ფრუიძე, ზურაბ ჭუმბურიძე, მამია ჭუმბურიძე, ბეჟან ხორავა, ანზორ სიჭინავა, ლევან რატიანი, მზია წიკლაური, საბჭოს თავმჯდომარედ დამტკიცდა ბატონი ლევან ფრუიძე, თანათავჯდომარედ ბატონი ბეჟან ხორავა.

2016 წლის 10დეკემბერს შედგა ნადირაშვილების შეკრება

გრიგოლიები

„ქრისტე ღმერთო ჩვენო აყურთხე და გააძლიერე ყველა გრიგოლია ოჯახის წევრებითურთ და ყოველნი გრიგოლიათა საგვარეულო ხატის წინაშე მლოცველნი, ამინ“

გვარი შთამომავლობის დიდათ საამაყო ღირსებაა და ამავდროულად ადამიანისათვის მკაცრად პასუხსაგები.

როგორც ისტორია გვამცნობს, საქართველოში გვარი IV საუკუნიდან მოდის, მაგრამ მაშინ ის მხოლოდ სამეფო ოჯახს და დიდებულებს ენიჭებოდათ. ეს გვარები დღეისათვის თითქმის აღარაა ხმარებაში. ქართული გვარები, რომლებიც დღემდეა შემორჩენილი, ვახუშტი ბატონიშვილის განმარტებით, საქართველოში მე XIV- მე XVI საუკუნეებში წარმოიშვა.

„პირთა ანოტირებულ ლექსიკონში“ (1991 წელს გამოშვებული ხუთტომეული) მოყვანილია გრიგოლიების გვარის სამი კომლი 1621 წელს მცხოვრები აფხაზეთში, სოფელ ხოირში - გოკურცხია გრიგოლია და ვაჟობა გრიგოლია და სამეგრელოში, სოფელ თეკლათში მცხოვრები ღვარკალაი გრიგოლია... ეს კი მიანიშნებს იმაზე, რომ გრიგოლიების გვარი მე XVI საუკუნეშიც და უფრო ადრეც არსებობდა... აქედან გამომდინარე გრიგოლია შეიძლება ჩაითვალოს ერთ-ერთ უძველეს გვარად საქართველოში.

თანამედროვე ისტორიკოსების - ლევან რატიანის და ანზორ სიჭინავას გამოკვლევიდან „გრიგოლიების საგვარეულო ისტორიები“ ვგებულობთ: არსებობს ვერსია, რომ გრიგოლიების გვარს საფუძვლად უდევს პირსახელი „გრიგოლი“, რაც ბერძნულად „მღვიძარეს“, ან „ფხიზელს“ ნიშნავს. აქედან გამომდინარე შესანიშნავი ფუძე ქონია გრიგოლიების გვარს.

გრიგოლიების გვარის წარმოშობის ფუძის, ადგილმდებარეობის და გვართან დაკავშირებულ სხვა მრავალი საკითხების შესწავლა დაიწყეს ენთუზიასტების ჯგუფმა მე XX საუკუნის 70 წლებში. ამ ჯგუფში შედიოდნენ ძმები ოთარი და რეზო გრიგოლიებმა, კაკო და ტრისტან გრიგოლიები, შახი, დემური და ნოდარი გრიგოლიები. მათ ჩაატარეს გარკვეული კვლევა-ძიება, მაგ-

რამ შედეგების გამოქვეყნება ვერ შეძლეს საკითხების ზუსტი დასაბუთების უქონლობის გამო...

დღეისათვის ოთხ მილიონიან საქართველოს მოსახლეობას წარმოადგენს 20-25 ათასი გვარი.

სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქის უწმინდესის და უნეტარესის ილია II ის თაოსნობით და ინიციატივით, მისი ლოცვა-კურთხევით, მე XX საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში დაიწყო საგვარეულო კავშირების ჩამოყალიბება. დღეისათვის გაერთიანებულია საგვარეულო კავშირებში 800-ზე მეტი გვარი. გრიგოლიების გვარი, ამ საშვილიშვილო საქმეს შემოუერთდა 20015 წლის ზაფხულიდან.

დიდი ამოცანების აქვს დასახული საგვარეულო კავშირებს: საქართველოს გამთლიანება, ეროვნულობის განმტკიცება და გაღრმავება, ქართული ტრადიციების აღდგენა, პატრიოტიზმის გამოღვიძება, სულიერი და ზნეობრივი ცხოვრების წესის დამკვიდრება და სხვა კეთილშობილი საკითხების განხორციელება...

საგვარეულო კავშირების საქმიანობა მიზნად ისახავს გვარის ისტორიის შესწავლას და საგვარეულო მატიანეების შექმნას, ქართველი ხალხის მრავალსაუკუნობრივ ცხოვრების წესისა და ეროვნული ტრადიციების შენარჩუნებას, ეროვნული და რელიგიური სიწმინდის დაცვას, ყოფითი წეს-ჩვეულებების ზომიერების ფარგლებში მოქცევას...

გრიგოლიების გვარი დღეისათვის დაახლოებით 2000 სულს წარმოადგენს. მათ შორის თბილისში ცხოვრობს - 470, სამტრედიაში 400, სენაკში 360 სული. დანარჩენი 770 სული, სხვადასხვა დროის მიგრაციების შედეგად, მიმოფანტულია საქართველოს ქალაქებში და რეგიონებში, არიან ასევე საქართველოს ფარგლებს გარეთ მაცხოვრებლებიც. გრიგოლიები ცხოვრობენ ქუთაისში, სოხუმში და ოჩამჩირეში, ზუგდიდში, აბაშაში, ფოთში,სამტრედიაში, ბათუმში, ხონში, გვაზაურში და სხვა ქალაქებში. გრიგოლიების ფუძე დასაბამიდან უნდა იყოს ოჩამჩირის რაიონის სოფელი ილორი და მის გარშემო მყოფი სოფლები და ამ ვერსიას დღეისათვის, მოპოვებული საბუთების მიხედვით, ალტერნატივა არ გააჩნია.



საკითხის შესწავლაში დიდი დახმარება გაგვიწია თვალსაჩინო მეცნიერის ნინო კობახიძის ნაშრომმა „სამტრედიის ისტორიული რარიტეტები“. კერძოდ აღწერილია, რომ სამტრედიის რაიონში სოფელი ილორი, შეურქმევიათ რუსულ-თურქული ომის დროს (1686-1700 წ.) სამეგრელოს ტერიტორიიდან და უპირველესად ოჩამჩირეს ილორიდან გადმოხვეწილ მოსახლეობას.

საჭილაოს ილორის წმ. გიორგის საეკლესიო წიგნებიდან ნათლად ჩანს, თუ რა დიდი ადგილი ეკავა აზნაურ გრიგოლიებს საჭილაოს ილორის ცხოვრებაში „...ოჩამჩირის ილორიდან არიან ჩამოსული საჭილაოში გრიგოლიები. როგორც ჩანს ომის უბედურებით შეწუხებულ მოსახლეობას მოეწონა ეს მყუდრო გარემო და სამუდამოდ დამკვიდრდა იმერეთის ამ ლამაზ მიწაზე. მათ თან გადმოიტანეს ის ყოფა და კულტურა რითაც სამეგრელოში ცხოვრობდნენ. ოჩამჩირის ილორის მსგავსად აქაც, მდინარე ცხენისწყლის სანაპიროზე, შემაღლებულ ადგილზე, აუშენებიათ სალოცავი - წმ. გიორგის სახელობის ილორის ეკლესია. ამ ეკლესიაში სხვადასხვა დროს ქადაგებდნენ მღვდლები - ლუკა, იოანე, გერმანე, მელიტონ და თომა გრიგოლიები.

გრიგოლიების აზნაურობა დასტურდება გელათის მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოშვებულ კრებულიდან - „სამეგრელოს თავადები და აზნაურები“ წარმოდგენილია, საჭილაოს მაზრის მდივანბეგის თავად გიგო ფაღავას მოხსენება თავად დავით დადიანის სახელზე - „საჭილაოს მაზრაში მცხოვრები თავად-აზნაურების გვარ-სახელები“. მათ შორის მოყვანილია აზნაურების 12 ოჯახი. (1853 წლის 29 ივნისის მოხსენება N 398). გრიგოლიების გვარისა იყვნენ აგრეთვე საეკლესიო აზნაურები. გრიგოლიები გლეხებიც იყვნენ. ეს საკითხი მომავალში შესწავლას და დაზუსტებას მოითხოვს.

რამოდენიმე სიტყვით „გრიგოლიათა საგვარეულო კავშირის“ შექმნაზე

გრიგოლიების გვარის წარმოშობის და სხვა საჭირბოროტო საკითხების შესასწავლად, სპონტანურად შეიკრიბა თანამოაზრეთა ჯგუფი, რომელშიც თავდაპირველად შევიდნენ მამია ოთარის-ძე, გიორგი ელიზბარის-ძე, ტრისტან გრიგოლის-ძე და მისი ვაჟი გიორგი, გოჩა შახის-ძე, თენგიზ გენრიხის-ძე, თენგიზ ალექსანდრეს-ძე, ნინო ალექსანდრეს ასული, დები ქეთევან და ილონა ნუგზარის ასულები, და-ძმა ირმა და მიხეილ გოდერძის-ძეები, გურამ კონსტანტინეს-ძე და ნოდარი გიორგის-ძე (მამის სახელები მოყვანილია რათა გავარჩიოთ ერთიდაიგივე სახელი, რომლებიც მრავლად მეორდება გვარში) ეს მოხდა 2015 წლის 24 ოქტომბერს თბილისში სამების ტაძარში. გადაწყდა „გრიგოლიების საგვარეულო კავშირის“ შექმნა ზემოთ ჩამოთვლილი გრიგოლიების დამფუძნებლობით. შემდგომ შეხვედრაზე, კვლავ სამების ტაძარში, 2016 წლის 18 თებერვალს ღია კენჭისყრით იქნა არჩეული „კავშირის გამგეობა“ 13 წევრის შემადგენლობით. ნოდარი გრიგოლია აირჩიეს „გრიგოლიების საგვარეულო კავშირის თავმჯდომარედ-წინამძღოლად, მამია ოთარის-ძე, გიორგი ელიზბარის-ძე და გიორგი ტრისტანის-ძე თავმჯდომარის მოადგილეებად. „გრიგოლიათა საგვარეულო კავშირის“ გამგეობამ სამუშაო რეჟიმში შეიმუშავა და დაამტკიცა კავშირის წესდება, დაიწერა საგვარეულოს ილორის წმ. გიორგის ხატი, შეიქმნა გერბი და დროშა.

2016 წლის 26 თებერვალს „გრიგოლიათა საგვარეულო კავშირი“ რეგისტრირებულ იქნა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირად საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში (რეგისტრაციის N B16028541, საიდენტიფიკაციო კოდი 405138060) ამის შემდეგ „გრიგოლიათა საგვარეულო კავშირი“ გახდა საქართველოს „საგვარეულო კავშირების“ სრულუფლებიანი წევრი, ხოლო კავშირის თავმჯდომარე - ნოდარ გრიგოლია - სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზის წევრი.

საჯარო რეესტრში რეგისტრაციისთანავე „კავშირმა“ მოიზიდა და გააწევრიანა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში მცხოვრები მრავალი გრიგოლია.

2016 წლის 26 ივნისს სამების ტაძარში, საქართველოს სულიერმა მოძღვარმა, უწ-

→

← მინდესმა და უნეტარესმა კათალიკოს-პატრიარქმა ილია II აკურთხა და დალოცა გრიგოლიათა გვარი და მისი სალოცავი ილორის წმ. გიორგის ხატი.

სამების ტაძარში 300-ზე მეტი გრიგოლია და მათი ოჯახის წევრები იყვნენ შეკრებილნი. დიდი ზეიმით ჩატარდა გრიგოლიების გვარის კურთხევა. ღონისძიება აღინიშნა, როგორც ამას ქართული წესი და ტრადიცია ითვალისწინებდა – 95-კაციანი ტრაპეზით.

ამ მომართვის დანიშნულებაა ყველა გრიგოლიას მივაწვდინოთ საგვარეულო კავშირის ხმა და ვთხოვოთ ყველა გრიგოლია ჩაერთოს ამ საშვილიშვილო საქმეში. ოფიციალურად გიცხადებთ, რომ ყველა გრიგოლია ბრძანდებით გრიგოლიათა საგვარეულო კავშირის წევრები, მაგრამ კავშირის გამგეობის ამოცანაა უკეთ ვიცნობდეთ ერთმანეთს, ვირწმუნოთ, რომ ერთი ფესვის განშტოებას წარმოვადგენთ...

წერილები გამოგზავნეთ მისამართზე - თბილისი. მიცკევიჩის ქ. N24 ბინა 10 ნოდარ გრიგოლიას.

ჩვენ გავხსენით „გრიგოლიათა საგვარეულო კავშირის“ ანგარიში საქართველოს ბანკში. ანგარიშის N GE18BG0000000696224000 კოდი 405138060 გთხოვთ გაიღოთ შემოწირვები.

აღნიშნულ ანგარიშზე შემოწირულობები გაიღო მრავალმა გრიგოლიამ. შემოწირული თანხები მკაცრი კონტროლის ქვეშაა და იხარჯება კავშირის გამგეობის მიერ გამოტანილი დადგენილებით. შემოსული თანხებით გამგეობამ მოვიწვიეთ ისტორიკოსები, რათა გამოგვეკვლია გვარის წარსული და ღირშესანიშნავი ისტორიები; დავუკვეთეთ გრიგოლიების სალოცავის - ილორის წმ. გიორგის ხატის დაწერა; შევქმენით საგვარეულოს დროშა და გერბი.

დაგეგმილი გვაქვს შევქმნათ გრიგოლიების კავშირის საქველმოქმედო ფონდი და განვახორციელოთ სხვა საინტერესო ღონისძიებები.

დღეს თბილისში, დიდუბის ხიდთან, აგლაძის ქუჩაზე შენდება, ოჩამჩირის და საჭილაოს მსგავსად ილორის წმ. გიორგის ეკლესია და ჩვენც გვინდა მონაწილეობა მივიღოთ მის მშენებლობაში - ეს იქნება ჩვენი გრიგოლიების სალოცავი...

შეგვატყობინეთ თქვენი სახელი და მამის სახელი, დაბადების თარიღი, განათლება, სპეციალობა, სამუშაო ადგილი, სად ცხოვრობთ - მისამართი, რა იცით თქვენი გვარის წარმოშობის შესახებ და საიდან მოხვდა თქვენი გვარი იქ სადაც ამჟამად ცხოვრობთ, წარმომავლობა და სხვა ინფორმაცია, რასაც თვლით, რომ საგვარეულომ უნდა იცოდეს. ვინ იყვნენ თქვენი წინაპრები.

ჩვენ გამოვაქვეყნებთ პერიოდულად პრესაში ინფორმაციას თვალსაჩინო გვარიშვილების შესახებ და გაგაცნობთ ყველაფერს რასაც მოვიძიებთ ჩვენი გვარის წარსულზე და აწმყოზე, ამაში კი თქვენი დახმარება აუცილებელია... ველით თქვენს გამოხმაურებას.

დადგა ახალი 2017 წელი. სიხარული შემოეტანოს მას ჩვენს ოჯახებში ! ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი ! გამთლიანებულიყოს საქართველო და კვლავაც სამაგალითო ერი ყოფილიყოს მსოფლიოში, ამინ!

საუკეთესო სურვილებით
გრიგოლიათა საგვარეულო
კავშირის გამგეობა

ფიფიები

ფიფიების გვარი არც თუ ისე მცირერიცხოვანია. ბოლო მონაცემებით 8000–მდე ვართ. ჩვენი გვარი 2016 წელს მაისში დალოცა უწმინდესმა და აკურთხა გვარის მფარველი ილორის წმინდა გიორგის ხატი. დალოცვის შემდეგ საოცრად შეიკრა და გაერთიანდა გვარი. ამ მოკლე დროში უკვე სამჯერ შევიკრიბეთ პირველად თბილისში, მეორედ ზუგდიდში, სადაც სოფ. რუხის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარში დავაბრძანეთ ჩვენი საგვარეულო ხატი. ამ ტაძრის წინამძღვარია ჩვენი მოგვარე მამა არჩილი, რომელმაც პარაკლისი გადაიხადა. ჩვენ გვარში მეორე მოძღვარიც გვყავს, დეკანოზი მამა გალაქტიონი, რომელიც წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ლიის თემის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის წინამძღვარია.

23 ნოემბერს, გიორგობის დღეს მას ვესტუმრეთ ტაძარში საგვარეულო ხატით. ჩაატარა საღვთო ლიტურგია გიორგობის დღისადმი მიძღვნილი. საღამოს კი გაიმართა ტრაპეზი, სადაც ბიზნესმენმა რომან ფიფიამ დაგვპატიჟა ყველა მოგვარე. ამ შეხვედრებზე ჩვენი უხუცესი ფიფიებისგან ბევრს ვიგებთ ღირსეული ფიფიების ცხოვრებაზე და მოღვაწეობაზე. თითქოს ახალი აღმოჩენები კეთდება. ჩვენ უკვე ვმუშაობთ, რომ გამოვცეთ წიგნი ფიფიების გვარის ისტორიაზე, ღირსეულ ფიფიებზე. ყველაზე მნიშვნელოვანი და სასიხარულო პირადად ჩემთვისაც არის იმის მიღწევა, რომ ბიზნესმენ რომან ფიფიას დახმარებით აღდგება უძველესი დანგრეული ტაძარი წალენჯიხის სოფ. ჩქვალერში, დიდი ეგნატე ფიფიას სოფლეში, სადაც არის ჩვენი გვარის სათავე და ჩვენი წინაპრების ფესვები.

ფიფიებმა ილორის წმინდა გიორგი დავიყენეთ წინ მფარველად და ვგრძნობთ კიდევაც მის ძალასა და მადლს. ხატი მოძრაობს გვარში. შემოწირულობებით კი ვეხმარებით გვარში გაჭირვებულ ადამიანებს. ამჟამად ვაგროვებთ თანხას, რომ დავეხმაროთ 2011 წელს ნიჭიერში გამარჯვებულვანო ფიფიას, რომელსაც დაუდგინდა ცერებრიალური დამბლა და სიცოცხლის შენარჩუნებისთვის ორ თვეში ერთხელ 1700 ლარის წამლები სჭირდება. ამ დაავადების განკურნებაც შესაძლებელია და ჩვენ ყველანაირად ვეცდებით მის დახმარებას.

გვინდა „ფიფიების ხეივანი“ გავაშენოთ თბილისში, ზუგდიდში და წალენჯიხაში. რაიონებში ჩამოვაყალიბეთ ფილიალები ჩვენი საგვარეულო კავშირის, გვყავს აქტიური ორგანიზატორები, რომლებიც გვეხმარებიან ჩვენი გეგმების განხორციელებაში.

კიდევ ბევრი გეგმები გვაქვს და ბევრი კეთილი საქმეების გაკეთება გვინდა, რასაც შევძლებთ ერთად გვერდიგვერდ დგომით. მინდა მადლობა გადავუხადო ჩვენს პატრიარქს, მადლობა ბატონ ლევან ფრუიძეს, ამ მოძრაობის სულისჩამდგმელს, მადლობა მამა ანდრიას, მზია წიკლაურს, გიორგი ზაქაიძეს და ყველას, ვინც უანგაროდ ემსახურება ამ საქმეს. მე მინდა წარმატებები ვუსურვო ყველა საგვარეულო კავშირს. ვისურვებდი, რომ უფრო გაძლიერებულიყოს საქართვლეოში საგვარეულო მოძრაობა, ერი გამთლიანდეს, გაძლიერდეს და ერთიან, ძლიერ, საქართვლეოში ბედნიერად ვიცხოვროთ ჩვენს მომავალ თაობებთან ერთად.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ

ნანა ფიფია
გვარის წინამძღოლი

დამილოცნიხარ ერშიც და მერშიც

„ბოლო ჟამს ადამიანებს თავმდაბლობა, სიკეთე და სიყვარული გადაარჩენს. სიკეთე სამოთხის კარს გაგიღებს, თავმდაბლობა შიგ შეგიყვანს და სიყვარული ღმერთს განახვებს“.

ღირსი მამა გაბრიელი აღმსარებელი – სალოსი

როდესაც, ქვრივიშვილების გვარის ერთ–ერთ ღირსეულ წარმომადგენელზე, ქალბატონ მზია ქვრიშვილზე წერილის დაწერა გადავწყვიტე, წმინდა მამა გაბრიელის ეს სიტყვები გამახსენდა.

სიკეთით სავსე დაიარება ამ ქვეყანაზე ქალბატონი მზია, რომელიც მუდამ მზადაა დახმარების ხელი გაუწოდოს შეჭირვებულ ადამიანებს. სამწუხაროდ, ქვეყანაში შექმნილ რთულ ვითარებაში, ასეთები ბევრნი არიან, ვისაც ჰაერივით სჭირდება ჩვენი თანადგომა სხვა, გამორჩეულ თვისებებთან ერთად, ქველმოქმედება, მის ცხოვრების წესად იქცა. სად არ ნახავთ საავადმყოფოებში, სოციალურად დაუცველთა ოჯახებში, ქუჩაში ხომ სამათხოვროდ გამოსულმა ადამიანებმა ახალი სახელი „კარგი ქალი“ შეარქვეს. მის დანახვაზე ყველას სახე უბრწყინდება და კარგი ქალიც ისე არ ჩაუვლის, რომ სიხარული არ მიანიჭოს მათ.

ასაკთან შედარებით ძალიან ახალგაზრდულად გამოიყურება. წლებია ეკლესიის წიაღში ჰპოვა სულიერება და სიკეთის მადლიც მეტად შეისისხლხორცა.

ისევ წმინდა გაბრიელ აღმსარებელი – სალოსის შეგონებიდან: „მოყვასის სიყვარული არის: როცა თქვენი მოყვასი სნეულია და შველა სჭირდება, წამალი კი, შორი გზიდანაა მოსატანი. შეიძლება დაგიღამდეს, ტყეც შეგხვდეს და მგელმაც შეგჭამოს. აი, თუ წახვალ ასეთ დროს მოყვასის საშველად, პირდაპირ მიხვალ უფალთან.

გადაუჭარბებლად შემიძლია გითხრათ, რომ მზია ქვრივიშვილი, დაუფიქრებლად გადადგამს ასეთ ნაბიჯს მოყვასისათვის, ტყეში თუ არა, ყოფილა შემთხვევები, თავად სიცხიანი, დამჯდარა მანქანაზე და შესაფერის დროს, შესაფერის წუთებში დახმარებია მარტოხელა ადამიანებს, არავისგან რომ არ ელოდნენ თანადგომას. აქ, მარტო მედიკამენტებზე და სანოვაგზე არ არის საუბარი, მთავარია, რომ მათ მიანიჭა ბედნიერება და გაუხანგრძლივა სიცოცხლე, სასოწარკვეთილები დაარწმუნა იმაში, რომ ცხოვრება მშვენიერია და რომ ისინიც, ისეთივე ჩვეულებრივი მოქალაქეები არიან ამ ქვეყნის, როგორც ყველა.

უფალმა, ყველა ადამიანი თავის ხატად შექმნა, ზოგმა გაუძლო ცხოვრების რთულ ლაბირინთებში სიარულს, ზოგს კი საამისოდ ძალა არ ეყო, ან უამრავი ხელისშემშლელი პირობები გადაეღობა წინ. მხოლოდ ერთმანეთის თანადგომითა და დახმარებით შევძლებთ ყოველგვარი პრობლემის დაძლევას.

ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანისათვის, ეს ანბანური ჭეშმარიტებაა, მაგრამ, ვაღიაროთ, ყველა ვერ ვახერხებთ ამას.

მზია ქვრივიშვილის მოძღვარმა მამა იაკობმა (უშიკიშვილი) დიდი სიყვარულით გვიამბო ქალბატონ მზიას მიერ გაწეულ ქველმოქმედებაზე, რომლის ჩამოთვლას მთელი გაზეთი არ ეყოფა, არც თავად ისურვებს. მისი საყვარელი ფრაზაა: „რა საჭიროა“, გეთანხმებით ქალბატონო მზია, მართლა რა საჭიროა, მაგრამ სიკეთე გადამდებიაო ნათქვამია და მხოლოდ იმისთვის, რომ თქვენს მაგალითზე, ბევრმა გაითავისოს სხვათა გასაჭირი, გაითავისოს ქველმოქმედების ძალა და დანიშნულება, გაითავისოს უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის სიტყვები, რომ შემოსავლის რაღაც გარკვეული ნაწილი გაიღოს ეკლესიისათვის, გაჭირვებულებისათვის, რომ ასეთ მდგომარეობაში აღარ იყოს ჩვენი მოსახლეობის დიდი ნაწილი.

მზია ქვრივიშვილს არ ავიწყდება არც ეკლესია, არც სასულიერო პირები, არც თავისი მოგვარეები, ნათესავები, ახლობლები, მეგობრები, უცნობები მის მიერ გაკეთებული სიკეთე ჩარჩოებში არ არის გამოკეტილი, მზია მაშინ არის ცუდ ხასიათზე თუ ერთი დღე მაინც დაღამდა ისე, რომ ვიღაცას არ დაეხმარა. ორ ვაჟკაცს ზრდის, არცერთის ბიოლოგიური დედა არ არის, მაგრამ ვერ დაიტრაბახებს ვერცერთი ქალი, უკეთეს დედობას.

ერთხელ, როცა მზია სტუმრად იყო მისული სამთავრო მონასტერში, მამა გაბრიელთან, დედა პარასკევას უკითხავს მამა გაბრიელისთვის. მზია მონაზონი გახდებაო. არაო – უთქვამს ბერს, დამილოცნია ერშიც და ბერშიცო. მაშინაც და ახლა მით უფრო, როცა მამა გაბრიელი საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა, დიდი მადლია ქალბატონ მზიასთვის ასეთი დალოცვა. ამბობს კიდეც, ბევრი განსაცდელისგან ვუხსნივარ მამა გაბრიელის დალოცვასო.

მზიას ძალიან უყვარს თავის გვარი, ისევე, როგორც ყველა ადამიანს, ქვრივიშვილებმაც უნდა იამაყონ რომ „მათი გორისაა“ გაჭირვებულთათვის „კარგი ქალი“, ეკლესიისათვის მზია – მარიამი, მეგობრებისათვის კი უბრალოდ მზია ქვრივიშვილი.

ნუნუ გრძელიშვილი
ჟურნალისტი

შოთა რუსთაველი – 850

2016 წელი გამოცხადებული იყო შოთა რუსთაველის წლად. ამ წელს შესრულდა დიდი მწერლისა და მოაზროვნის დაბადებიდან 850 წელი. სამწუხაროდ ეს თარიღი ბევრისთვის შეუმჩნეველი იყო. ისე ჩაიარა, რომ ფართო საზოგადოებამ ვერც კი იგრძნო ამ თარიღის მნიშვნელობა. არ ვიცით, რამ გაუფერულდა ეს მოვლენა – პოლიტიკური პარტიების ურთიერთბრძოლამ, პარლამენტის არჩევნებმა თუ ახალი მთავრობის ჩამოყალიბების მოლოდინმა.

თუ არა რამდენიმე გაუხმაურებელი მოვლენა არაფრით აღინიშნა ეს თარიღი:

სანტ–პეტერბურგში დაიდგა ზურაბ წერეთლის ინიციატივით, მის მიერ შესრულებული შოთა რუსთაველის ძეგლი, გამოიცა საიუბილეო „ვეფხისტყაოსანი“, გამოიცა წიგნი – ალბომი, სადაც შესულია ყველა მხატვრის მიერ შესრულებული „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციები – ჩატარდა მცირე მოცულობის საიუბილეო სხდომა.

გადავფურცლეთ 50 წლის წინანდელი – 1966 წლის პრესა–გაზეთები „კომუნისტი“, „თბილისი“, „სოფლის ცხოვრება“. გთავაზობთ ამ გაზეთებიდან ინფორმაციას შოთა რუსთაველის 800 წლის იუბილის ჩატარების შესახებ.

საყოველთაო ზეიმი ჩატარდა სექტემბრის თვეში. ზეიმში მონაწილეობდნენ, როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის ცენტრალური ხელისუფლების, ისე მოკაშვირე რესპუბლიკების წარმომადგენლები. ჩამოვიდნენ სტუმრები მოსკოვიდან – საბჭოთა კავშირის კულტურის მინისტრი ე. ფურცევა, მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ა. შაპოშნიკოვა, მოსკოვის აღმასრულებელი კომიტეტის თავჯდომარის მოადგილე ნ. სიზოვი, რუსეთის მწერალთა კავშირის მოსკოვის განყოფილების მდივანი ი. მინიჩენკო, საბჭოთა ლიტვის დელეგაცია, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ლ. დირჟინსკაიტეს მეთაურობით, საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე მ. შაურო, ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები ვ. ბელიაევი და ი. ვინიკოვი. უზბეკეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ს. სიდიკოვი და სხვები. ჩამოვიდნენ უცხოელი სტუმრები ავსტრიელი პოეტი ჯეფრი დატენი, ცეილონის გაზეთ „ობზორვეტის“ რედაქტორი მურვინ დე სილვა, გერმანელი ენათმეცნიერი კარლ ჰორსტ შვიდტი, ფრანგი მწერალი მაქს პოლ ფუშე, ბუდაპეშტის უნივერსიტეტის პროფესორი კაროლ ცეგლედი. მწერალი სერგეი სმირნოვი, უკრაინის მწერალთა კავშირის თავჯდომარე ოლეს გონჩარი, ბულგარელი მწერალი ლუდმილა სტოიანოვი, ჰოლანდიელი ქართველოლოგი ჰანს ფოქტი და სხვები.

საზეიმო სხდომები გაიმართა ბათუმში, სოხუმში, ქუთაისში, ადიგენში, რუსთავში, ბორჯომში, თელავში. გაზეთებში დაიბეჭდა სტატიები აკადემიკოსების: გიორგი ჯიბლაძის, ირაკლი აბაშიძის, მოსკოველი აკადემიკოსის ნ. კონრადის, ლენინგრადელი (სანტ–პეტერბურგელი) აკადემიკოსის ვ. ჟირმუნსკის, კომპოზიტორის შალვა მშველიძის, რიგელი იან სუდრაბტალინის, ესპანელი მთარგმნელის გუსტავო დე ლა ტოსე ბოდაროს. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების სესია.

დიდ შოთას მიეძღვნა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების სესია 28 სექტემბერს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სესია, რომელიც მიეძღვნა დიდი ქართველი პოეტისა და მოაზროვნის შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავს.

სესიის მუშაობაში მონაწილეობდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, ყაზახეთის, უზბეკეთის, თურქმენეთის, ლიტვის, ლატვიის, ბაქო, ერევნისა და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქების მეცნიერები, აგრეთვე საზღვარგარეთელი სტუმრები – თვალსაჩინო მეცნიერები, ქართველოლოგები.

სესიის პრეზიდიუმში არიან შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის იუბილეს მომწყობი მთავრობის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. დ. ჯავახიშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი დ. გ. სტურუა.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ნ. ი. მუსხელიშვილმა.

სესიის მონაწილეებს მიესალმა საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. დ. ჯავახიშვილი.

„რუსთაველის შემოქმედება“ – ასეთი მოხსენება გააკეთა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ა. ბარამიძემ.

მოხსენება – „ვეფხისტყაოსნის“ მეცნიერულ–კრიტიკული ტექსტის გამოცემისათვის – გააკეთა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა გ. წერეთელმა.

რუსთაველის ეპოქის ქართველი ხელოვნების ძეგლებზე ილაპარაკა თავის მოხსენებაში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა გ. ჩუბინაშვილმა.

სესიაზე გამოვიდნენ მწერალი–აკადემიკოსი, რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი კ. გამსახურდია, საბჭოთა კავშირი მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები ნ. კონრადი და ვ. ჟირმუნსკი, გერმანიის დემოკრატიული, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე–პრეზიდენტი ლ.შტერნი, ბუდაპეშტის უნივერსიტეტის პროფესორი კ. ცეგლედი, კუბის მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურისა და ლინგვისტიკის ინსტიტუტის დირექტორი ხოსე ანტონიო პორტუონდო.

სესიის მონაწილეებს ქართულ ენაზე მიესალმნენ ქალაქ ოსლოს უნივერსიტეტის რექტორი გ.; ფოქტი და პოლონელი ქართველოლოგი ი. ბრაუნი.

ამით სესიამ მუშაობა დაამთავრა. (საქდესი).

მასალები ამოკრეფილია: გაზეთი „კომუნისტი“ №223(13607) 1966 წელი 30 სექტემბერი, გაზეთი „თბილისი“ №230(4075) 1966 წ. 30 სექტემბერი გაზეთი „სოფლის ცხოვრება“ №230(1729) 1966 წ. 30 სექტემბერი.

პუბლიკაცია მოამზადა
ვაჟა ნადირაშვილმა

მკითხველთა საყურადღებოდ!

მოწოდებული მასალების შინაარსზე და ფაქტების სისწორეზე რედკოლეგია პასუხს არ აგებს.

ყველა საგვარეულო კავშირს, ყველა წინამძღოლს, ყველას ვინც ერთგულია საგვარეულო მოძრაობის, ვინც საკუთარი გვარის პატრიოტია

გთხოვთ ითანამშრომლოთ გაზეთ ,,გვარი და ტრადიციასთან“, მოგვაწოდეთ მასალები (სტატიები, ინფორმაციები, ფოტოები) საგვარეულო კავშირების შესახებ, საგვარეულო მოძრაობის, საქართველოს დემოგრაფიულ და სოციოლოგიურ, აგრეთვე ეროვნულობის და მართმადიდებლობის შენარჩუნებისა და განმტკიცების პრობლემატურ საკითხებზე, ვიზრუნოთ საგვარეულოთა კავშირის ,,გვარი და გვარიშვილობის“ და გვარის წინამძღოლთა დარბაზის მატერიალურ-ფინანსურ და ტექნიკური ბაზის განმტკიცება განვითარებისათვის. მასალები გამოგვიგზავნეთ **E-mail:vaja39@mail.ru**

ISSN 2449-2280
გაზეთის ელექტრონული ვერსია იხილეთ:
www.dspace.nplg.gov.ge

ჩვენი რეკვიზიტები:

სრულიად საქართველოს გვარის
წინამძღოლთა დარბაზის ფონდი
ს/კ 404953154
ბანკი: ,,რესპუბლიკა“ ბანკი
ა/ა **GE51BR0000010385861378**

მისამართი: ქ. თბილისი, წმინდა სამების საკათედრო ტაძარი

საკონტაქტო ტელეფონები:
790770871; 593 531 950

სარედაქციო კოლეგია

ლევან ფრუიძე
ვაჟა ნადირაშვილი ტელ: 599 90-26-01
თენგიზ მაისურაძე ტელ: 599 97-41-90
მერაბ ლეკვეიშვილი ტელ: 577 41-02-00
ნინო სულამანიძე ტელ: 592 12-34-56

მისამართი: ქ. თბილისი, წმინდა სამების საკათედრო ტაძარი
საკონტაქტო ტელეფონი: 790770871